


საქართველო
აუდიტორი
გოგოლაძე ია
ქ. სამტრედია, თბილისის ქ. №33



GEORGIA
AUDITOR
Gogoladze Ia
Office: Samtredia. Tbilisis st. №33

ტელ: 22-22-16, 598-43-41-76

TEL: 22-22-16, 598-43-41-76

საიდენტიფიკაციო კოდი - 37001014520

Indifikational Code - 37001014520

სერთიფიკატი ზ/ბაფ - 031

Certifikate Z/BAF -031

ლიცენზია ზN^o 195

Licenzia zN^o 195

23 სექტემბერი 2016 წელი

აუდიტორული დასკვნა

2016 წლის 10 აგვისტოს MES 6 16 00952158 და 16 სექტემბრის MES 1 16 01077929 წერილის საფუძველზე მომმართა ს.ს.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დირექტორმა მიხეილ კოპალეიშვილმა (საიდენტიფიკაციო კოდი 238762941), რომ მომეხდინა სავარაუდო შეფასება სკოლის ტერიტორიაზე მდებარე დემონტაჟისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის აუდიტორული დასკვნა.

ადგილზე მისვლით და ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნული ორი შენობა-ნაგებობა მდებარეობს ქ. სამტრედია, სოფელ ეწერში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882016616439, 13.09.2016. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.43.227)), სახელოსნოს საერთო ფართობი - 77.60 მ², ხოლო საქვების საერთო ფართობი - 63.40 მ².

საქვების შენობა აშენებულია საამშენებლო ბლოკით, რომელსაც არ აქვს კარ-ფანჯრები. ბუნებრივი ნალექების გამო დაზიანებული და გამოფიტულია შებათქაშებული ქვიშა-ცემენტის ხსნარი. ზოგიერთ ადგილას ხელის შეხებით იშლება საამშენებლო ბლოკი. იატაკი მიწურია, დაბინძურებულია ნაგვის ნარჩენებით, ამოსულია მცენარეები და ხეები. შენობა დაზარებულია სიმაკრის ფილებით, რომლიდანაც ჩამოედინება ბუნებრივი ნალექები და დაზიანებულია. შენობის დემონტაჟის შედეგად შესაძლოა სავარაუდოთ მივიღოთ:

საამშენებლო ბლოკი 2800 ცალამდე. 1 ცალი მეორადი საამშენებლო ბლოკის საბაზრო სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება 0.60 ლარად, ანუ (2800 ცალიX0.60 ლარი)=1680 ლარის ოდენობით.

სინკარის ფილები 6 ცალი (1.5მX6მ)=9 მ², 9მX6მ=54 მ² ანუ 1 ცალი მეორადი მოხმარების სინკარის ფილის საბაზრო სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება 150 ლარის ოდენობით. სულ (6 ცალიX150ლარი)=900 ლარი.

აღნიშნულ შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განხორციელებისთვის გამოიყოს მუშის ხელფასი დარიცხული 420 ლარის ოდენობით (2800ცალიX0.12 ლარი), ხოლო ნაგვის და სხვადასხვა ანარჩენების გატანისათვის საჭიროა, როგორც დამტვირთველი, ასევე სატრანსპორტო საშუალება. ნაგვის გატანისთვის საჭიროა 2 რეისი ავტომანქანა. 1 რეისი ავტომანქანა თავის დამტვირთავით სავარაუდოთ შეადგენს დარიცხულ თანხას 187.50 ლარს. სულ (2რეისიX187.50 ლარი)= 375 ლარს. ამწე-კრანით მომსახურება 1 დღე - 300 ლარი, ასევე ავტოტრანსპორტით გატანა სინკარის ფილების 300 ლარი.

სულ დემონტაჟის შედეგად მიღებული სასარგებლო მასალების ღირებულება შეადგენს - 2580 (ორიათასხუთასოთხმოც) ლარს, ხოლო ხარჯი - 1395 (ერთიათასსამასოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.

ამავე საკადასტრო კოდზე მდებარეობს მეორე ნაგებობა, რომელიც წარმოდგენილია სახელოსნოს სახით. აშენებულია საამშენებლო აგურით და გამოფიტულია, როგორც ქვიშა-ცემენტის ხსნარი, ასევე საამშენებლო აგური. არ აქვს კარ-ფანჯრები, კედლების სიმაღლე არა სტანდარტულია და ასევე არ გააჩნია სახურავი.

ვიზუალური დათვალიერებით და ტექნიკური შეფასებით აღნიშნული შენობა-ნაგებობები წარმოადგენს ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელ შენობას, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. დემონტაჟის შედეგად სავარაუდოთ ვერ მივიღებთ სასარგებლო მეორად მასალას.

აღნიშნულ შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განხორციელებისთვის გამოიყოს მუშის ხელფასი დარიცხული 400 ლარის ოდენობით, ხოლო ნაგვის და სხვადასხვა ანარჩენების გატანისათვის საჭიროა, როგორც დამტვირთველი, ასევე სატრანსპორტო საშუალება. ნაგვის გატანისთვის საჭიროა 2 რეისი ავტომანქანა. 1 რეისი ავტომანქანა თავის დამტვირთავით სავარაუდოთ შეადგენს დარიცხულ თანხას 187.50 ლარს. სულ (2რეისიX187.50 ლარი)= 375 ლარს.

სულ დემონტაჟის შედეგად მიღებული სასარგებლო მასალების ღირებულება შეადგენს - 0 (ორმოცდათექვსმეტი) ლარს, ხოლო ხარჯი - 775 (შვიდასსამოცდათხუთმეტი) ლარს.

დასკვნა: ს.ს.ი.პ ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დირექტორის მიხეილ კობაღიშვილის მომმართვეის საფუძველზე მოვახდინე სკოლის ტერიტორიაზე განლაგებული შენობა-ნაგებობების ვიზუალური და ტექნიკური დათვალიერება.

ვიზუალური და ტექნიკური დათვალიერებით აღნიშნული შენობა-ნაგებობები ექვემდებარებიან დემონტაჟს. დემონტაჟის შედეგად მიღებული სასარგებლო მეორადი მასალების ღირებულებამ შეადგინა 2580 (ორიათასხუთასოთხმოც) ლარი, ხოლო ხარჯმა - 2170 (ორიათასსამამოცდაათი) ლარი.

ინდივიდუალური აუდიტორი:

საქართველოს პროფესიონალი ბუღალტერი:

გიორგი მარტოვი

/ი. გოგოლაძე/

მშენებელი:

გიორგი მარტოვი

/რ. სიჭინავა/

